№1215 2015 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ნოემბრის N1981 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ნოემბრის N1981 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის მიზნით შეიქმნას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია), შემდეგი შემადგენლობით:

შალვა თადუმაძე	–	საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი, კომისიის თავმჯდომარე;

ალექსანდრე ბარამიძე	–	საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე;
ლევან იზორია	–	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
ნათია მიქელაძე	–	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;
გიორგი ბაქრაძე	–	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე;
მაია ბითაძე	–	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე;
ირაკლი ხმალაძე	–	საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე;
გიორგი თაბუაშვილი	–	საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე;
გაიოზ თალაკვაძე	–	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
ნოდარ კერესელიძე	–	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
ბესიკ ლოლაძე	–	საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
კახა კახიშვილი	–	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე.

2. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:

მაია ბაქრაძეს	–	ა(ა)იპ – ასოციაცია - საქართველოს მოსამართლეთა ერთობის აღმასრულებელი საბჭოს წევრს;
შოთა გეწაძეს	–	თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-

		გიის თავმჯდომარეს;
ნინო ქადაგიძეს	–	თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეს;
თამარ გვარამაძეს	–	ა(ა)იპ – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს;
ნათია გორგოძეს	–	საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსს;
უჩა ნანუაშვილს	–	საქართველოს სახალხო დამცველს.“.

ბ) განკარგულებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. კომისიის უფლებამოსილების ვადა

კომისია იქმნება განსაზღვრული ვადით. კომისია უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის 2015 წლის საშემოდგომო სესიის დასრულებამდე.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ნოემბრის N1981 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ:

საქართველოს მთავრობის განკარგულების წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შემადგენლობის განახლებას, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია თანამდებობრივი ცვლილებებით, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე დავით ლომიძის ნაცვლად მიეთითება მინისტრის ახალი მოადგილის, გაიოზ თალაკვაძის შესახებ, ასევე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის ირაკლი გეგეჭკორის ნაცვლად მიეთითება თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბესიკ ლოლაძის შესახებ. გარდა ამისა, კომისიას ემატება ახალი წევრი – საქართველოს სახალხო დამცველი, რომლის არაერთ რეკომენდაციაში და წლიურ ანგარიშში გამხდარა შეფასების საგანი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზები და მისი რეფორმის საჭიროება, შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის ჩართულობა დადებითად აისახება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის პროცესზე. გარდა აღნიშნულისა, იზრდება კომისიის უფლებამოსილების ვადაც, რეფორმის პროცესში წამოჭრილი საკითხების მოცულობიდან და საკითხების დამატებითი კვლევის საჭიროებიდან გამომდინარე.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ უკავშირდება დამატებითი ფინანსური რესურსების ხარჯვას.

პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

პროექტის მიღების შემთხვევაში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შემადგენლობა განახლდება და მისი უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესიის დასრულებამდე.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი დაკავშირებულია კონკრეტულ ვადასთან, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესიის დასრულებამდე.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.